

ბიზნესი ◇ მენეჯმენტი
BUSINESS ◇ MANAGEMENT

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის და სოციალური
გარემოს შეფასება მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის
მეთოდებით**

ირაკლი მანველიძე

ასოციირებული პროფესორი
ბათუმის შოთა ხუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი manvelidze.
irakli@gmail.com

მალვინა ჯიბლაძე

დოქტორი
ბათუმის შოთა ხუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
malvina.jibladze@gmail.com

სტატიაში გახილულია ბიზნეს და სოციალური გარემოს ფუნქციონირება - განვითარების ტენდენციები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე, ხაზს უსვამს გამოააშკარავა, რომ ცხოვრების ხაზისხი, ადამიანის განვითარების დონე, საერთაშორისო ხეივანებში დაკავებული პოზიციები და სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებელი ნაწილობრივ განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნეს და სოციალური გარემოს. თემა აქტუალურია, ვინაიდან ბიზნეს და სოციალური გარემოს გავლენის შეფასება ასახავს ახამხორდო ცადკეული ქვეყნის იმიჯს, ახამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის ხეგიონისასაც, ხაც შემდგომ შეიძლება გახედეს მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციის გაღმავების საფუძვედი. აქტუალურობას განაპირობებს კვლევის ფაჩგებში მიღებული შედეგიც, რომელიც იქნება მინიშნება ხეგიონის ქვეყნებისათვის - აღმოფხვჩან სწოხედ ის პრობლემა, რომელიც მათ სისუსტეს წაჩმოადგენს. ამასთან, სტატიაში დაინტეხელებული მხაჩეებისათვის შემუშავებულია ინოვაციური მჩავადკიტიეტიუმანი ანალიზის მეთოდები, ხაც მათ დაეხმაჩებათ სწოხად შეაჩჩრონ პაჩტნიოხი ქვეყანა სხვადასხვა პიოოტიეტიის გათვლისწინებით. კვლევა მოიცავს 10 წლის მონაცემებს, სადაც მჩავადკიტიეტიუმანი ანალიზის (MCDM) მეთოდები გამოყენებულია, ხოგოხც სოციალური და ეკონომიკური პრობლემების განხილვის საუკეთესო საშუალება. თავდაპიჩვედად განისაზღვრა ყვედაზე მნიშვნელოვანი კიტიეტი-

უმები ინვესტიციების მხიდან, ხასაც შემდგომ ანადიტიკური იეხაქიის პიოცესის (AHP) მეთოდით მივანიქეთ ე.წ წონა, ხოდო შემდგომ პიოპო-ხციულობის ყოვედმხივი შეფასების (COPRAS) მეთოდით შევავასეთ აღტეხნატივები.

საკვანძო სიტიყვები: ბიზნესგაქემო, სოციალური გაქემო, სამხე-თი კავკასია, მხავადტიტიუმიანი ანადიზის მეთოდი.

JEL Codes: M20, M21, M29

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანა, განვითარების დონის მიუხედავად, დაინტერესებულია პიდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით (პუი) და ამისათვის ცდილობს შექმნას სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, იაფი ან კვალიფიკაციური სამუშაო ძალა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისგან თავისუფლება, სტრატეგიული მდებარეობის გამოყენების შესაძლებლობა და სხვა. არც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებია გამონაკლისი, რომლებიც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით ცდილობენ მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების დაინტერესებას, რაც თავის მხრივ, გაზრდის პუი-ს ნაკადების შემოდინებას. ცხადია, რომ სამივე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნესპოტენციალის ერთობლივი ანალიზით შესაძლებელია საინტერესო ტენდენციების წარმოჩენა და ახალი სამეცნიერო მიგნებების განსაზღვრა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის საყოველთაოდ აღიარებულია და ამას გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ყოველწლიურად გამოცემული მასალებიც მოწმობს. ტრანსნაციონალური კორპორაცია განისაზღვრება როგორც ორგანიზაცია, რომელიც შედგება მშობელი კომპანიისა და მისი საგარეო ვალდებულებებისაგან (UNCTAD, 2002, 291), რომლის საქმიანობაც სცდება სახელმწიფო საზღვრებს და ქმნის სტაბილურ, საერთაშორისო კორპორატიულ ქსელებს მომწოდებლებთან, კლიენტებსა და თანამშრომლებთან (Zak, 2012).

მას შემდეგ, რაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ეროვნულ საზღვრებს მიღმა იწყებენ ფუნქციონირებას, დგება საკითხი ქვეყნების

კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, გლობალიზაციის ფარგლებში ქვეყნების უმრავლესობა და განსაკუთრებით ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, საერთაშორისო ორგანიზაციებში განვევრიანებით, ბიზნეს და სოციალური გარემოს გაუმჯობესებით ცდილობენ უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირებას.

ამასთან, გაიზარდა მკვლევარებისა და პრაქტიკოსების ყურადღება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, რაც სავსებით ლოგიკურია რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, თუმცა, კვლევა რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტორებს პარტნიორი ქვეყნის სწორად შერჩევაში, მისთვის აუცილებელი კრიტერიუმების შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შემთხვევაში არ არსებობს.

ბიზნეს და სოციალური გარემო

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც დარღვეულია „ერი-სახელმწიფოები“-ს ცნება და კაპიტალი ხასიათდება „მოგზაურობის“ შესაძლებლობებით, ქვეყნები ავტომატურად ჩაერთონ კონკურენტულ ბრძოლაში. ქვეყნის კონკურენტუნარიანობას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიზნეს და სოციალურ გარემოს, ვინაიდან ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს ბიზნესის განვითარების დონეს, ხელშეწყობას და ზოგადად მიმზიდველ გარემოს, რომელშიც ინვესტირებისა და ბიზნესის წამოწყებისთვის საჭიროა სურვილი გაუჩნდეს უცხოელ ინვესტორს. სწორედ ამიტომ ბიზნესგარემო უნდა შეფასდეს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ინდივიდუალური სამენარმეო სუბიექტების მოტივაციასა და ქცევაზე (Chládková, 2015). ამასთან, ბიზნესგარემოს მაღალი ხარისხი, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის სანინდარია (Vetráková, 2013).

ბიზნესგარემოს შეფასებისას უნდა განისაზღვროს ის ფაქტორები, რაც მასზე პირდაპირ გავლენას ახდენს და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდეს ირიბი ფაქტორები (შენგელია, 2008). ბიზნესგარემოს შეფასების

სხვა მეთოდს გვთავაზობს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (2008).

რაც შეეხება სოციალურ გარემოს, აუცილებელია დაინტერესებული მხარე კარგად იცნობდეს საზოგადოების სოციალური პრეფერენციებს, რომელსაც უნდა მოერგოს, თორემ ვერ გადარჩება (Study., 2013). არსებობს სოციალური გარემოს შიდა და გარე ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ბიზნესზე და რომელთა შეფასება საკმაოდ რთულია (imperiumapps..., 2018).

შეფასების ინოვაციური მეთოდები

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნეს და სოციალური გარემოს შესაფასებლად, ნაშრომში გამოყენებულია ინოვაციური მრავალკრიტერიუმისანი MCDM ანალიზის მეთოდი შემდეგი ლოგიკით:

1. AHP მეთოდი გამოყენებულია ბიზნესისა და სოციალური გარემოს შეფასების თითოეული კრიტერიუმისათვის წონის დასადგენად.

2. შემდგომ ეტაპზე კი გამოყენებულია COPRAS მეთოდი, რათა შეფასებულიყო ქვეყნების სოციალური და ბიზნესგარემო.

მრავალკრიტერიუმისანი ანალიზის დროს ალტერნატივები ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმით და ხდება ვარიანტების შედარება, ანალიზის დროს თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭება წონა. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც რთულია სარგებლის ერთეულში გამოსახვა. მრავალკრიტერიუმისანი ანალიზი ასევე აფასებს სცენარების დადებით და უარყოფით გავლენებს, რაც მოიცავს რაოდენობრივ, თვისებრივ და ფულად მონაცემებს. მრავალკრიტერიუმისანი ანალიზი, როგორც წესი, წარმოდგენილია მატრიცის სახით.

ჩვენ შემთხვევაში ეს მეთოდი გამოიყენება ბიზნესისა და სოციალური გარემოს გავლენის წარმოსადგენად, სადაც გაერთიანებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მონაცემები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპლექსური შეფასების სისტემა ნაშრომში ფორმირებულია პრაქტიკულად, ინვესტორის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმების პრიორიტეტად განსაზღვრის მიზნით, რომელიც ეხება ცხოვრების ხარისხს, მაკროეკონომიკას, ბიზნესს, ადამიანის განვითარებას და კარგად ყოფნის ფაქტორებს.

ვინაიდან მრავალკრიტერიუმის ანალიზი გარკვეულწილად სუბიექტურია, განსაკუთრებით წონების მინიჭების ეტაპზე და ხშირად ასახავს ანალიტიკოსის პირად დამოკიდებულებას, თავდაპირველად გამოვიყენეთ AHP მეთოდი (Saaty, 2008) სოციალური გარემოს ცალკეული დარგის შეფასებისას და მოვარგეთ სამხრეთ კავკასიის ცალკეულ ქვეყანას. კერძოდ AHP მეთოდის მიხედვით სოციალურ, ფინანსურ, გარემოსდაცვით და მმართველობით დარგებს (Global 2004) მინიჭებული აქვს ქულები (0,135; 0,534; 0,104; 0,227). ჩვენ შემთხვევაშიც ცალკეული ქვეყნის კრიტერიუმებზე დავყავით ოთხ ნაწილად და მივუთითეთ წონა AHP მეთოდის მიხედვით. სულ ჩამოყალიბდა 12 კრიტერიუმი (იხ. ცხრილი 1).

ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები

ცხრილი 1

X_1 : მშპ-ის წლიური ზრდა (საშუალო) 2009-2019 წწ.
X_2 : მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2019 წ.
X_3 : პუი (საშუალო) 2009-2019წწ.
X_4 : პუი 2019წ.
X_5 : სავაჭრო ბრუნვა (საშუალო) 2009-2019 წწ.
X_6 : სავაჭრო წლიური ბრუნვა 2019წ.
X_7 : ბიზნესის კეთების სიმარტივე (საშუალო) 2009-2019 წწ.
X_8 : ბიზნესის კეთების რეიტინგი 2019წ.
X_9 : ადამიანის განვითარების ინდექსი (საშუალო ზრდა) 2010-2018 წწ.
X_{10} : ადამიანის განვითარების ინდექსი 2018წ.
X_{11} : სოციალური პროგრესის ინდექსი (საშუალო) 2014-2017წწ.
X_{12} სოციალური პროგრესის ინდექსი 2017წ.

წყარო: ცხილი შემუშავებულია ავტორთა მიერ

კრიტერიუმები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მოიცავს საშუალო მაჩვენებლს 2009-2019 წლებში, ხოლო მეორე ჯგუფი ასახავს უახლეს მონაცემებს, წონის მინიჭებისას კი გამოყენებულია AHP მეთოდის მიხედვით არსებული მონაცემები.

შემდეგ ეტაპზე ვიყენებთ მრავალკრიტერიუმის გადანყვეტილების ანალიზის - პროპორციულობის ყოველმხრივი შეფასების (COPRAS) მეთოდს, რომელიც გულისხმობს პირდაპირი და პროპორციული დამოკიდებულების მნიშვნელობის განსაზღვრას და არსებული ალტერნატი-

ვებიდან სასარგებლო ხარისხის დადგენას ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმების არსებობის პირობებში (Kaklauskas.,2007). მეთოდი ითვალისწინებს ალტერნატივების შესრულებას სხვადასხვა კრიტერიუმისა და აგრეთვე შესაბამისი კრიტერიუმების წონის მიხედვით. ეს მეთოდი ირჩევს საუკეთესო გადაწყვეტილებას, როგორც იდეალურს და ასევე გამოყოფს ყველაზე ცუდ გადაწყვეტილებებს. მეთოდი ასევე გამოყოფს ხუთ ეტაპს, რათა მოხდეს ალტერნატივების შეფასება მათი სარგებლიანობის ხარისხის მიხედვით (Kaklauskas.,1994).

პირველი ეტაპი: გადაწყვეტილების მატრიცის განსაზღვრა. (იხ. ცხრილი 2).

$$D=[X_{ij}]_{m \times n} = \begin{bmatrix} X_{11} & X_{12} & X_{13} & \dots & X_{1n} \\ X_{21} & X_{22} & X_{23} & \dots & X_{2n} \\ X_{m1} & X_{m1} & X_{m1} & \dots & X_{mn} \end{bmatrix} \quad (i=1,2, \dots, m; j=1, 2, \dots, n) \quad (1)$$

კრიტერიუმების მაჩვენებლები

ცხრილი 2

ქვეყანა კრიტერიუმები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	წონა (AHP)
X ₁	4,87	4,53	1,6	0,534
X ₂	5,1	7,6	2,2	0,534
X ₃	1157	360,9	2551,6	0,534
X ₄	1300	255	1500	0,534
X ₅	10466,1	5941,2	28329,67	0,534
X ₆	12834	8154,1	30923,6	0,534
X ₇	170	144,1	131,9	0,227
X ₈	7	47	39	0,227
X ₉	0,91	0,52	0,36	0,104
X ₁₀	0,786	0,760	0,754	0,104
X ₁₁	106	88	102	0,135
X ₁₂	53	59	76	0,135

წყარო: ცხილი შემუშავებულია ავტომატურად

მეორე ეტაპი: გულისხმობს ნორმალიზებული და შეწონილი ნორმალიზებული გადაწყვეტილების მატრიცების განსაზღვრას.

$$\bar{X}_{ij} = \frac{X_{ij}}{\sum_{i=0}^m X_{ij}} \quad (2)$$

$$D = |Y_{ij}|_{m \times n} = r_{ij} \times XW_j \quad (3)$$

სადაც X_{ij} არის i -ის ალტერნატივის შესრულება j -ის კრიტერიუმების მიმართ, ხოლო \bar{X}_{ij} - მისი ნორმალიზებული მნიშვნელობა და m ალტერნატივების რაოდენობა. r_{ij} არის i -ის ნორმალიზებული შესრულების მნიშვნელობა ალტერნატივა j -ის კრიტერიუმების გათვალისწინებით, ხოლო w_j არის j -ის კრიტერიუმის წონა. ამასთან, თითოეული კრიტერიუმის შეწონილი ნორმალიზებული მნიშვნელობების ჯამი ყოველთვის ტოლია ამ კრიტერიუმის წონის.

გამოთვლა: $X_{11} = 1 * 4,87 / (4,87 + 4,53 + 1,6) = 1 * 4,87 / 11 = 0,442727$ (2)

$$X_{11} = 0,534 * 0,442727 \quad (3)$$

ნორმალიზებულ გადანყვეტილებათა მატრიცა
ცხრილი 3

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
X_1	0,442727	0,738989	0,749766
X_2	0,342282	0,77551	0,804682
X_3	0,652382	0,585401	0,997915
X_4	0,425532	0,145299	0,999644
X_5	0,233947	0,17336	0,999981
X_6	0,247228	0,208664	0,999983
X_7	0,487246	0,262717	0,998282
X_8	0,036823	0,787002	0,994213
X_9	0,50838	0,590909	0,775862
X_{10}	0,341739	0,501982	0,878788
X_{11}	0,358108	0,463158	0,998678
X_{12}	0,267677	0,475862	0,998227

შენიშნული ნორმალიზებული გადანყვეტილებათა მატრიცა
ცხრილი 4

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი
X ₁	0,236416	0,39462	0,400375
X ₂	0,182779	0,414122	0,4297
X ₃	0,348372	0,312604	0,532887
X ₄	0,227234	0,07759	0,53381
X ₅	0,124928	0,092574	0,53399
X ₆	0,132019	0,111426	0,533991
X ₇	0,110605	0,059637	0,22661
X ₈	0,008359	0,178649	0,225686
X ₉	0,052872	0,061455	0,08069
X ₁₀	0,035541	0,052206	0,091394
X ₁₁	0,048345	0,062526	0,134822
X ₁₂	0,036136	0,064241	0,134761

მესამე ეტაპი: ამ ეტაპზე შენიშნული ნორმალიზებული მნიშვნელობების ჯამები გამოითვლება როგორც სასარგებლო, ასევე არასასარგებლო კრიტერიუმებით, შემდეგი განტოლებების გამოყენებით.

$$S_{+j} = \sum_{i=1}^n y + ij \quad (4)$$

$$S_{-j} = \sum_{i=1}^n y - ij \quad (5)$$

სადაც $y + ij$ და $y - ij$ შენიშნული ნორმალიზებული მნიშვნელობებია სასარგებლო და არასასურველი კრიტერიუმებისათვის.

$$S_{+j} = 0,236416+0,182779+0,348372+0,227234+0,124928+0,132019=1,251748 \quad (4)$$

$$S_{-j} = 0,008359+0,052872+0,035541+0,048345+0,036136=0,291857 \quad (5)$$

ღირებულებების მინიმუმ და მაქსიმუმ მაჩვენებლები
ცხრილი 5

	S _{+j}	S _{-j}
საქართველო	1,251748	0,291857
სომხეთი	1,402937	0,478714
აზერბაიჯანი	2,964752	0,893962

მეოთხე ეტაპი: პოზიტიური და ნეგატიური ალტერნატივების განსაზღვრისათვის ვიყენებთ ფორმულას:

$$Q_j = S_{+j} + \frac{S_{-min} \sum_{j=1}^n S_{-j}}{S_{-j} \sum_{j=1}^n \frac{S_{-min}}{S_{-j}}}, \quad j=1, 2, \dots, n \quad (6)$$

$$S_{-min} = 0,291857$$

საიდანაჯ

$$\sum_{j=1}^n \frac{S_{-min}}{S_{-j}} = \frac{0,291857}{0,291857} = \frac{0,291857}{0,478714} = \frac{0,291857}{0,893962}$$

	$\sum_{j=1}^n \frac{S_{-min}}{S_{-j}}$
საქართველო	1
სომხეთი	0,609668
აზერბაიჯანი	0,326476

ხოლო $Q_1 = 1,251748 + \frac{0,291857 \cdot (1,251748 + 1,402937 + 2,964752)}{0,291857 \cdot (1 + 0,609668 + 0,326476)} = 2,11464$

	Q_i
საქართველო	2,11464
სომხეთი	1,402937
აზერბაიჯანი	2,964752

მეხუთე ეტაპი: თითოეული ალტერნატივისთვის ფარდობითი წონის განსაზღვრა

$$U_j = \frac{Q_i}{Q_{max}} \times 100\% \quad (7)$$

სადაც Q_{max} არის მაქსიმალური ფარდობითი მნიშვნელობა. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია მისი ხარისხი.

$$U_1 = \frac{2,11464}{2,964752} * 100\% = 0,7122 * 100\% = 71.2\%$$

	U_i
საქართველო	71,21891
სომხეთი	47,32055
აზერბაიჯანი	100

ე.ი $Q_{max} = Q_3 = 100\%$

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდის შედეგი

ცხრილი 6

ქვეყნები (a_j)	წარმატება (Q_j)	ადგილი (P_j)	სარგებლიანობის ხარისხი (U_j) %
საქართველო	2,111464	2	71,21%
სომხეთი	1,402937	3	42,32%
აზერბაიჯანი	2,964752	1	100%

კვლევის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნესის და სოციალური გარემოს შეფასებისას გამოყენებული ინოვაციური მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდები, დაინტერესებულ მხარეს, არამხოლოდ შეუქმნის წარმოდგენას ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, არამედ ხელისუფლებას და ბიზნესს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, რათა არ შეანელოს ყურადღება ბიზნესის და სოციალური გარემოს განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. კვლევის შედეგები კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სრულყოფისთვის.

დასკვნა

ნაშრომში შემოთავაზებულია ინოვაციური მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის მეთოდები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასებისთვის, სადაც პროპორციულობის ყოველმხრივი შეფასების (COPRAS) მეთოდმა აზერბაიჯანი წარმოაჩინა მოწინავე ქვეყნად რეგიონში ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასებისას სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით.

ნაშრომის ფარგლებში გამოიყო დაინტერესებული მხარისათვის ცალკეულ ქვეყანაში მისთვის სასარგებლო და არასასარგებლო კრიტერიუმები და ასევე განისაზღვრა ის პოზიტიური და ნეგატიური ალტერნატივების ჩამონათვალი, რომელიც თითოეულმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველო თითქმის ყოველთვის ლიდერია საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, მას მოსდევს სომხეთი და შემდეგ აზერბაიჯანი. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკურ

მაჩვენებლებლებთან მიმართებით სიტუაცია იცვლება. ამის მიზეზად კი ხშირად ბუნებრივ რესურსებს განიხილავენ (Hubner, 2011).

ლიტერატურა:

- შენგელია თ. (2008). ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი გვ. 25-28
- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, (2008), პროექტი “ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში”. თბილისი
- Chládková H. (2015). Selected Approaches to the Business Environment Evaluation. Acta Universitatis Agriculturae et Silviculturae Mendelianae Brunensis. 63. pp. 515-523.
- Gerald H. (2011). Foreign Direct Investment in Azerbaijan –the Quality of Quantity, Caucasus Analytical Digest. No 28. pp. 3.
- Kaklauskas A., Zavadskas E.K., Trinkunas V. (2007). A Multiple Criteria Decision Support on-line System for Construction, Engineering Applications of Artificial Intelligence. Vol. 20(2), pp. 163-75.
- Kaklauskas A., Zavadskas E.K., Binkyte A.V., Kuzminskė A., Cerkauskas J., Cerkauskiene A., Valaitiene R. (2020). Multiple Criteria Evaluation of the EU Country Sustainable Construction Industry Lifecycles. pp. 1-10.
- Kaklauskas E., K., Kaklauskas A., Sarka V. (1994). The New Method of Multicriteria Complex Proportional Assessment po Projects. Technological and Economic Development of Economy 1 (3), pp.131-139.
- Saaty T.L. (2008). The Analytic Hierarchy and Analytic Network Measurement Processes: Applications to Decisions under Risk, European Journal of Pure and Applied Mathematics, Vol.1(1) pp. 122-196.
- UNCTAD, World Investment Report, (2002).Transnational Corporations and Export Competitiveness, United Nations, New Yourk and Geneva. pp. 291.
- Vetráková M., Potkány M., Hitka, M. (2013). Outsourcing of Facility Management. E&M Economics and Management, Vol. 16, No.1, pp. 80-92.
- Zak S. (2012). International Marketing: Theory, Practices and New Trends, Prague Economic Papers, 2. pp. 251-254.
- <https://study.com/academy/lesson/how-the-social-environment-affects-business.html> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- Report 2014: Environmental, Social and Governance: Integration for Banks: A Guide to Starting Implementation. <http://wwf.panda.org/?226990> / ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/

- <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?locations=AM-AZ-GE/> ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- [https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=AM-AZ-GE,](https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=AM-AZ-GE) ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?locations=AZ-AM-GE/> ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?locations=AZ-AM-GE/> ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://www.armstat.am/en/?nid=176> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- [https://www.stat.gov.az/source/trade/?lang=en.](https://www.stat.gov.az/source/trade/?lang=en) /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba/> ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://www.doingbusiness.org/en/rankings> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <http://hdr.undp.org/en/data> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://www.socialprogress.org/?tab=3&compare=ARM&compare=AZE&compare=GEO> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- <https://imperiumapps.com/the-effects-of-social-environment-on-business> /ბოლო ნახვა 08 ნოემბერი, 2020/
- References:
- Shengelia T. (2008). *biznesis administriribis sapudzvebi* [Fundamentals of Business Administration. Tbilisi. pp.25-28.] in Georgian.
- *sakartvelos akhalgazrda ekonomistta asotsiatsia* (2008). *proekti "biznes-garemos gaumjobeseba sakartveloshi"*. *tbilisi* [Georgian Young Economists Association (2008), project "Improving the Business Environment in Georgia". Tbilisi.] in Georgian.
- Chládková H. (2015). *Selected Approaches to the Business Environment Evaluation. Acta Universitatis Agriculturae et Silviculturae Mendelianae Brunensis.* 63. pp. 515-523.
- Gerald H. (2011). *Foreign Direct Investment in Azerbaijan –the Quality of Quantity, Caucasus Analytical Digest.* No 28. pp. 3.
- Kaklauskas A., Zavadskas E.K., and Trinkunas V. (2007). *A Multiple Criteria Decision Support on-line System for Construction, Engineering Applications of Artificial Intelligence.* Vol. 20(2), pp. 163-75.
- Kaklauskas A., Zavadskas E.K., Binkyte A.V., Kuzminske A., Cerkauskas J., Cerkauskiene A., Valaitiene R. (2020). *Multiple Criteria Evaluation of the EU Country Sustainable Construction Industry Lifecycles.* pp. 1-10.
- Kaklauskas E., K., Kaklauskas A., Sarka V. (1994). *The New Method of Multicriteria*

- Complex Proportional Assessment po Projects. Technological and Economic Development of Economy 1 (3), pp.131-139.
- Saaty T.L. (2008). The Analytic Hierarchy and Analytic Network Measurement Processes: Applications to Decisions under Risk, European Journal of Pure and Applied Mathematics, Vol.1(1) pp. 122-196.
 - UNCTAD, World Investment Report, (2002).Transnational Corporations and Export Competitiveness, United Nations, New York and Geneva. pp. 291.
 - Vetráková M., Potkány M., Hitka, M. (2013). Outsourcing of Facility Management. E&M Economics and Management, Vol. 16, No.1, pp. 80-92.
 - Zak S., (2012). International Marketing: Theory, Practices and New Trends, Prague Economic Papers, 2. pp.251-254.
 - <https://study.com/academy/lesson/how-the-social-environment-affects-business.html> last seen 08 /11.2020/
 - Report 2014: Environmental, Social and Governance: Integration for Banks: A Guide to Starting Implementation. <http://wwf.panda.org/?226990> /last seen 08 /11.2020/
 - [https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?locations=AM-AZ-GE/](https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG?locations=AM-AZ-GE) last seen 08 /11.2020/
 - <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=AM-AZ-GE/>last seen 08 /11.2020/
 - <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?locations=AZ-AM-GE> /last seen 08 /11.2020/
 - <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?locations=AZ-AM-GE/>last seen 08 /11.2020/
 - <https://www.armstat.am/en/?nid=176> last seen 08 /11.2020/
 - <https://www.stat.gov.az/source/trade/?lang=en>. last seen 08 /11.2020/
 - /last seen 08 /11.2020/
 - <https://www.doingbusiness.org/en/rankings> / last seen 08 /11.2020/
 - <http://hdr.undp.org/en/data> /last seen 08 /11.2020/
 - <https://www.socialprogress.org/?tab=3&compare=ARM&compare=AZE&compare=GEO> /last seen 08 /11.2020/
 - <https://imperiumapps.com/the-effects-of-social-environment-on-business> /last seen 08 /11.2020/

Assessment of Business and Social Environment in the South Caucasus Countries by Multi-Criteria Analysis Methods

Irakli Manvelidze

Associate Professor

Batumi Shota Rustaveli State University

manvelidze.irakli@gmail.com

Malvina Jibladze

Doctoral Student

Batumi Shota Rustaveli State University

malvina.jibladze@gmail.com

The paper discusses business and social environment trends on the example of Georgia, Armenia and Azerbaijan, which revealed that the quality of life, the level of human development and various economic indicators partly determine the business and social environment in the countries of the South Caucasus. The topic is relevant, as the assessment of the impact of the business and social environment will reflect not only the image of a single country, but also the South Caucasus region, which can further become the basis for deepening integration into world processes.

In research innovative multi-criteria analysis methods developed for stakeholders will help to properly select a partner country with different priorities in mind. The study includes 10 years of data using multi-criteria analysis (MCDM) methods, as the best means of discussing social and economic problems. Initially, the most important criteria were identified by investors, on which we partially used the Analytical Hierarchy Process (AHP) method, and then the Comprehensive Proportionality Assessment (COPRAS) method. The paper identified useful and unhelpful criteria for the stakeholder in a particular country.

The paper identifies „Beneficial” and „Non-Beneficial” criteria for the stakeholder in a particular country and also outlined the list of positive and negative alternatives that each country needs to improve.

The research showed that Georgia is almost always the leader in international rankings, followed by Armenia and then Azerbaijan, however, it should be noted that the situation with regard to economic indicators is changing. The reason for this is often considered natural resources.

Finally, the Complex Proportional Assessment of alternatives (COPRAS) method presented Azerbaijan as a leading country in assessing the business and social environment in the region, taking into account various criteria, then followed by Georgia and Armenia with a 71,21% and 42,32% Utility Degree.

Keywords: Business environment, social environment, South Caucasus, multi-criteria analysis method.

JEL Codes: M20, M21, M29